პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 166 (9327)

ლელო

26 აგვისტო, სამშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა: „ვიზრუნოთ პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის, ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის, შრომისა და სამშობლოს დაცვად ახალგაზრდობის მომზადებისათვის – ნიშნავს ყურადღებას არ აკლებდეთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას“.

გვიმრავლოს!

წყნეთის „ლუჭნიკი“

ასია წერილი წყნეთის მკვიდრს ზურაბ ხეჩუაშვილს, რომელიც სპორტული კომპლექსის გახსნის დღეს დაიბადა

ზოგი ქიმიკოსის დღეს იბადება, ზოგი — ფიზკულტურელის დღეს, ზოგი — 8 მარტს და ახალ წელიწადს. მათზე ამბობენ, ბედი გაუღიმაო. დაშერწმუნე, ეს შეიძლება თამამად შეიძლება ითქვას. ალბათ, წყნეთის ახალი მცხოვრები, რომელიც დაიბადე იმ დღეს, როცა აქ მწყობრში ჩადგა ახალი სპორტული კომპლექსი. დიახ, დიახ, კონკრეტული აზრით ეს მოვლენა თითოეული წყნეთელის ცხოვრებაში სულ მალე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ვიდრე, ვთქვათ, ქიმიკოსის, მშენებლის, ფიზკულტურელის დღე.

შენ დაიბადე დღით, როცა კომპლექსის საზეიმო გახსნამდე სულ რაღაც რამდენიმე საათი რჩებოდა. მშენებლები მოვიდნენ, რათა კიდევ ერთხელ გადაეკეთებინათ ახალი ობიექტი — ფეხბურთის მინდორი (90X56 მ), კალათბურთის, ფრენბურთის, მინი-ფეხბურთის კომბინირებული მოედანი, საჭიდაო წრე. როგორ ელოდა ამ დღეს წყნეთის ახალგაზრდობა! მამაშენმა, თბილისის პროფესიული სახალხო ბიბლიოთეკის ლიტერატურის მკვლევარმა, ალბათ, ბევრი რამ მოუყვა შენზე, ბევრი რამ იფიქრა შენზე, ბევრი რამ იოცნება შენზე. ალბათ, ბევრი ფიქრობდა იმაზეც, რომ ეს ადგილები, სადაც ახლა ასეთი ლამაზი სპორტული კომპლექსი აღმართულა, ოდესღაც ნაძვნარი იყო, ნაძვნარი, რომელიც ნელ-ნელა, ხეს ხეზე, ბუჩქს ბუჩქზე, ბალახს ბალახზე ეკვროდა, ეკვროდა, ეკვროდა და ბოლოს ისე გადაიზარდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ტყის ნაკვეთად აღარ აღიქვამდა. ეს ადგილები ხომ ყველა ადგილობრივისთვის ნაცნობი იყო,

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის წინ

როცა დროულად ვზრუნავთ

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე წყალმოთხილამურეები პირველად გამოვლენ. მოასპარეზენი ბევრნი არ იქნებიან, რადგან ყველა რესპუბლიკამ ვერ შეძლო მომზადებული შეხვედროდა ამ სიახლეს. ზოგიერთს, როგორც იტყვიან, „სტარტზე დააგვიანდა“ და მომავალში დაკარგულის ანაზღაურებაზეც მოუწევს ზრუნვა. ასეთ ვითარებაში მეტად სასიხარულოა ის, რომ წყალსათხილამურო სპორტის სასპარტაკიადო „პრემიერაში“ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს წარმომადგენლებიც. ამ ამბავმა უფრო იმიტომ გაგვახარა, რომ სამწუხაროდ, თადარიგის დროული დაჭერა ყოველთვის არ გვჩვევია, ამიტომ, ჩვენი რესპუბლიკის წყალმოთხილამურეებზე საუბრისას ამ თადარიგიანობაზეც გავამახვილებთ ყურადღებას და ზოგიერთ მათგანსაც ვახსენებთ, ვისმა დროულმა ზრუნვამ და გამჭრიახობამ ამ სახეობაში რამდენიმე წლით ჩამორჩენას გადაგვარჩინა.

არადა, ამის საშიშროება სავსებით რეალური იყო. ნათქვამი დაუსაბუთებელ განცხადებად რომ არ ჩამოგვართვათ, წყალმოთხილამურეთა მონათესავეებს — ნიჩბოსნებსა და აფროსნებს გავიხსენებთ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ ხელსაყრელი პირობებია ჩვენში ამ სახეობათა განვითარებისათვის. ვინ მოთვლის, რამდენი კარგი ადგილისთვის დაუდგამთ თვალი ნიჩბოსნობისა და აფროსნობის სპეციალისტებს. ყველაზე მეტად მაინც ფოთს აქებენ, რომელსაც თბილი კლიმატისა და „მოხერხებული“ წყლის გამო განსაკუთრებით ზამთარში ედება ფასი — ქვეყნის რომელი კუთხიდან არ ჩამოდიან აქ ნიჩბოსნები. ბუნებრივ პირობებს, მოგეხსენებათ, დაფასება და გამოყენება უნდა, ჩვენ კი ხშირად მიუტევებელ გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას ვიჩენთ: ბევრ ჩვენს საწყლოსნო ბაზაზე შეუძლებელია სრულყოფილი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წარმართვა, სპორტსმენებსა და მწვრთნელებს, ფაქტიურად, ამ სანაქებო ბუნებრივი პირობების ამარა ვტოვებთ. ამ ბოლო დროს, მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა — აფროსნებს შეპირდნენ, რომ ფოთის ნავსადგურის საიალქნო კლუბის მშენებლობაზე რეკონსტრუქციას ამ წლის ბოლოსათვის დაასრულებენ, სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო რესპუბლიკის სპორტსახკომის ფოთის სანიჩბოსნო ბაზაზეც, ასე რომ, ახლა ჩვენს ნიჩბოსნებსა და აფროსნებს დანაპირების შესრულების იმედი ასულდგმულებთ და მანამდე შურის თვალით უყურებენ საქართველოს წყალმოთხილამურეთა ნაკრები გუნდის წევრებს, რომლებმაც ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს მიერ აგებულ სპორტკლუბ „აიაში“ დაიდეს ბინა.

ეს ბაზა ისეთია, ნიჩბოსნებთან და აფროსნებთან ერთად ბევრ სხვა სახეობის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობს. ამ წლის დასაწყისში მოსკოვში გაიმართა საკავშირო შეჯიბრება წყლის თხილამურებით ფიგურულ სრიალში. ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილ პროგრამაში დაიბეჭდა ინტერვიუ საკავშირო სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელთან წყალსათხილამურო სპორტში ვლადიმერ საველიევთან. კითხვაზე, ახალი ხომ არაფერია ჩვენს წყალსათხილამურო სპორტში, მან ასე უპასუხა: მთავარი სიახლე ის არის, რომ ფოთში აშენდა ისეთი წყალსათხილამურო ბაზა, რომელიც საუკეთესოა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1984 წლის აგვისტოში ფოთელებმა წყალსათხილამურო სპორტზე ლაპარაკს მოუხშირეს. ჯერ იყო და კინოთეატრ „რუსთაველის“ რეპერტუარში გაჩნდა 27-წუთიანი ფერადი ფილმი წყალმოთხილამურეთა ევროპის 1978 წლის ჩემპიონატზე, მერე ფოთის სკოლის კედლებზე გამოიკრა განცხადებები, რომლებიც წყალსათხილამურო სპორტში მეცადინეობის მსურველებს უხმობდა. მომავალი წყალმოთხილამურეების შესარჩევად ყოფილმა ნიჩბოსანმა თამაზ ლაგვილავამ ფიზკულტურის გაკვეთილებზე სიარულს მოუხშირა, მალე ფოთში ამ სახეობის სპეციალისტი მინსკელი ვიაჩესლავ კობაილკოც გამოჩნდა და წყალმოთხილამურეთა პირველმა „თაობამ“ ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ერთ-ერთ საამქროს შეაფარა თავი. ვარჯიში ჩამოწერილი და შეკეთებული თხილამურებით იქვე, მდინარე კაპარჭინაზე დაიწყეს. სანამ ფოთელი წყალმოთხილამურეები პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდნენ, ამ სამმართველოს თაოსნობით მალთაყვის ტყე-პარკის მიდამოებში, „ოქროს ტბის“ სანაპიროზე მომავალი ბაზის საძირკველი გაიჭრა. მოკლედ, საქმე ისე აეწყო, რომ ადვილი მისახვედრი იყო: ინიციატორებს „პირველი სვლებიც“ კარგად მოეფიქრებინათ და საქმესაც უნარიანად უძღვებოდნენ. ერთი მათგანის გამოცნობა ძნელი არ იყო: საწარმო სპორტსმენებს რომ შეიყვარებს და მათთვის და თავის მუშა-მოსამსახურეებისათვის სპორტული ბაზის მშენებლობას დაიწყებს, „კვალი“, რა თქმა უნდა, კოლექტივის თავკაცთან მიგიყვანს. დიახ, ეს საქმე — ფილმის ჩვენებით დაწყებული და ბაზის მშენებლობით გათავებული, ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს უფროსმა გურამ დოლბაიამ წამოიწყო. მალე ამ კაცის ენთუზიაზმმა, დასახული მიზნისკენ დაუოკებელმა სწრაფვამ იმდენი გააკეთა, რომ... ისევ საველიევს მოუსმინოთ: ამ თანამედროვე ბაზაზე შეიძლება ყველაზე მაღალი რანგის შეჯიბრებები ჩატარდეს. გარდა ამისა, გახანგრძლივდება ჩვენი უძლიერესი წყალმოთხილამურეების საწვრთნელ-საშეჯიბრებო პერიოდიც: აქ ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრებს ადრეული გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე საუკეთესო პირობები ექნებათ ნაყოფიერი წვრთნისათვის.

თამაზ ლაგვილავა ახლა „აიას“ დირექტორია. მას და მის თანამშრომლებს ენთუზიაზმი არ განელებიათ, ახლაც ხშირად იხილავთ ხელებდაკაპიწებულებს — ბაზაზე ხომ მშენებლობა გრძელდება. (ერთი საინტერესო დეტალი ფოთელ „ბაზიერთა“ საქმიანობიდან: საშეჯიბრებო ტრასის მოსაწყობად და ტივტივების დასამაგრებლად საჭმაო რაოდენობით ძნელად საშოვნელი და ძვირადღირებული ალუმინის მილები დასჭირდათ. გამოსავალი თვითონვე იპოვეს: ალუმინის ნაცვლად გამოიყენეს... ბამბუკი. ახლა ბევრს უკვირს, ასეთი რამ ჩვენ როგორ ვერ მოვიფიქრეთო). უკვე აშენებულ ადმინისტრაციულ და საცხოვრებელ კორპუსს, თანამედროვე, მეტად მოხერხებულ ელინგს, რომლის თავზეც სასტუმრო ოთახები მოეწყო, მალე სხვა ობიექტებიც მიემატება: მწყობრში ჩადგება სპორტული დარბაზი, რომელსაც ფოთის ჩაის კომბინატი აშენებს (დირექტორი — რომან მელია). ეს საწარმო აქვე აუზსაც აშენებს. დარბაზსა და აუზს შორის მოეწყობა კორტები და სპორტული მოედნები. ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველო 1500 კაცზე გათვალისწინებული ტრიბუნის აგებით დააგვირგვინებს ამ მართლაც საშვილიშვილო საქმეს. ტრიბუნის ქვეშ მოეწყობა სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები. ამოქმედდება ელექტროსაბაგირო სისტემაც, რომელიც უფრო ინტენსიურს გახდის საწვრთნელ პროცესს (სპორტსმენები კატერს აღარ დაელოდებიან და ერთდროულად რამდენიმე ივარჯიშებს), ხელს შეუწყობს საწვავის დაზოგვას, რაც მთავარია, ამ სისტემის ამოქმედების შემდეგ წყლის თხილამურებზე სრიალი პრაქტიკულად ყველას შეეძლება.

გამოგიტყდებით, რომ ვშიშობთ: იქნებ ზედმეტი ვილაპარაკეთ ამ ეგრეთ წოდებულ ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობაზე, იქნებ ისიც გაფიქრებინეთ, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ჩვენი წყალმოთხილამურეების სასპარტაკიადო სამზადისთანო. საქმე ის გვჭირდა, რომ სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სპორტული ღირსების დასაცავად სწორედ ამ ბაზაზე აღზრდილი ფოთელი გოგო-ბიჭები გაემგზავრებიან, ასე რომ, ფოთელებისა და მათი ქომაგების მონდომება რომ არა, სპარტაკიადაზე გასაგზავნი გუნდი არც გვეყოლებოდა. ფოთელების დამსახურებაა ისიც, რომ სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ჩვენს რესპუბლიკაში წყალსათხილამურო სპორტის აღორძინებას, თუმცა, მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და თავს ნუ მოვიტყუებთ — აღორძინებაზე მაშინ ვილაპარაკოთ, როცა სხვებიც გამოიღებენ ხელს.

ხათუნა კორკელია, დები ანჟელა და ვიკა ბესელიები, გიორგი სურგულაძე, ვასილ ბუდუროვი, გენადი პეტრუხინი, ზურაბ ივანოვი, დიმიტრი კობიალკო და სხვები „აიელთა“ ის პირველი ჯგუფია, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები სპარტაკიადაზე იასპარეზებენ. მართალია, ამჯერად მათი სასპარტაკიადო ნადავლი მხოლოდ შეძენილი გამოცდილება იქნება, მაგრამ ესეც წინგადადგმული ნაბიჯია. ცხადია, ჯერ კიდევ შერხზე მსხდომთ გაუჭირდებათ 23 წელს მიტანებულ და ტიტულიან მეტოქეებთან ბრძოლა. ბელორუსიისა და რსფსრ-ის ნაკრებები, მაგალითად, მთლიანად საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებით იქნება დაკომპლექტებული, ძლიერი გუნდები ეყოლებათ შოსკოვსა და უკრაინას, ჩვენზე ვამრცელებთ არიან ლენინგრადელები, ტატველები და ესტონელები, მაგრამ მაღე ჩვენი ენთუზიასტების დროც დადგება — გაისად წყალსათხილამურო სპორტს ჯაბუკთა და ახალგაზრდული ასპარეზობების პროგრამაში შეიტანენ და მაშინ ტოლ-სწორებთან მოუწევთ შეჯიბრება (თანატოლებთან შეჯიბრებაში კი ფოთელები თავს არ იჩცხვენენ) და მეათე სპარტაკიადას „დღვინებული“ შეეგებებიან, ასე რომ, ჯერჯერობით წინ თამამად ვიხედებით. ჯერჯერობითო იმიტომ ვამბობთ, რომ გული არავინ დაიარაზინოს და საქმე მოგვარებულად არ ჩათვალოს. დიახ, ამ სახეობას გულშემატკივრები გამოუჩნდნენ, საუცხოო ბაზაც ააგეს, მის გაფართოებაზეც ზრუნავენ, ნიჭიერი შეგირდები კვალიფიციურ ოსტატებს ჩააბარეს (წყალსათხილამურო სპორტის რესპუბლიკური ფედერაცია და რესპუბლიკის სპორტსახკომის სათანადო განყოფილება ამთავითვე საუკეთესო მწვრთნელებს იწვევენ — ახლახან ვ. კობიალკოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორთა აღმზრდელი, ბელორუსიელი მწვრთნელი ვიქტორ მელნიკიც შეუერთდა), მაგრამ კარგად დაწყებული საქმე კარგადაც უნდა გაგრძელდეს, „აიას“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგალითად, ჯერჯერობით აქ მომეცადინეთა ასაკის შესაფერისია. ეს თანასწორობა, ცხადია, ზომავალშიც არ უნდა დაირღვეს, ე. ი. წამოზრდილ „აიელებს“ საწვრთნელი პირობები უნდა გაუუმჯობესდეთ, თორემ... ამ ორიოდე თვის წინ, ფოთში ჩატარებულ რესპუბლიკის ღია პირველობაზე ტრამპლინიდან ხტომებში გამართულ შეჯიბრებისას ერთი მოწვეული საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ძალამ და წონამ ფოთელების კატერი, რომელიც საათში 40 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს, კინაღამ გააჩერა, კატერის სიჩქარე საათში 60 კილომეტრი მაინც უნდა იყოსო, აგვიხსნეს. ერთი სიტყვით, მერე და მერე თხილამურებიც და სხვა სპორტინვენტარიც საუფროსო და უკეთესი ხარისხისა დასჭირდებათ ფოთელებს. თუმცა, მარტო ფოთი რა შუაშია — საქართველოში წყალსათხილამურო სპორტის გავრცელების არეალის გაფართოებამდე რესპუბლიკის ღირსებას ამ ქალაქის სპორტსმენები დაიცავენ, ამიტომ მათი პრობლემები საერთო საზრუნავი უნდა გახდეს.

ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი სათაურით — „როცა დროულად არ ვზრუნავთ“. მასში საუბარი იყო აფხაზეთის აფროსნობის პრობლემებზე. სამწუხაროდ, უზრუნველობით ჩვენი სხვა რეგიონებიც სცოდავენ და ხშირად ეს უზრუნველობა ბევრ სხვა სახეობასაც აზარალებს. დღევანდელ წერილში სწორედ დროული ზრუნვის სიკეთეზე ვისაუბრეთ, ამიტომ სათაურიც საგანგებოდ ასეთი შევარჩიეთ.

თამაზ მიგრიაული,
„ლელოს“ სპეც. კორ.

„ლელოს“ კონტროლზეა

დეფექტები სწორდება

როგორც ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შარშან დაიწყო და წელს აპრილში დამთავრდა მძლეოსნურ ბილიკზე სინთეზური საფარის დაგება. სამწუხაროდ, ერთ მონაკვეთზე საფარი უხარისხო გამოდგა, რის გამო შეუძლებელი გახდა შეჯიბრებების ჩატარება. „ლელომ“ ამის თაობაზე წელს, 24 ივნისს გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი და საფარის შეცვლის საკითხი კონტროლზე აიყვანა.

ამ დღეებში საკავშირო სპორტსახკომის კიევის სინთეტიკის ნაკეთობათა ტრესტის წარმომადგენლები კვლავ ჩამოვიდნენ თბილისში ადრე დაშვებული დეფექტების გამოსასწორებლად. როგორც სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორმა ვაჟა ჭელიძემ გვითხრა, თვის ბოლოსთვის სამუშაოები მთლიანად დამთავრდება.

სურათზე: მიმდინარეობს უხარისხო ბილიკის შეცვლის სამუშაოები.

არდადეგების დღეები ვანში

ზაფხულის არდადეგების დღეებში ვანში გაიმართა მოსწავლეთა V საკავშირო საჭადრაკო პირადგუნდური ტურნირი. შეჯიბრება ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, დაფების მიხედვით, თითოეულ დაფაზე გუნდის წევრების მიერ მოპოვებული ქულების შეჯამებით. ტურნირში მონაწილეობდნენ ასტრახანის, ყაზანის, ლიპეცკის, ქუთაისის, გურჯაანის, წულუკიძის, ჩოხატაურის, ვანის, ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა თუ რაიონების გუნდები (სულ 14 კოლექტივი).

პირველ დაფაზე (14 მონაწილე) 7 შესაძლებლიდან 6,5 ქულით გაიმარჯვა გურჯაანელმა ლევან ნატროშვილმა.

მეორე დაფაზე (14 მონაწილე) ქულათა მაქსიმუმით გამარჯვება კვლავ გურჯაანელ მოჭადრაკეს იოსებ კვირიაშვილს დარჩა.

მესამე დაფაზე პირველობისთვის იბრძოდა 24 მოჭადრაკე. 5,5-5,5 ქულით I-III ადგილები გაიყვეს ბადრი ჯანელიძემ (ვანი), ვლადიმერ ჭიკაძემ (გურჯაანი) და სერგეი სუზოვეევმა (ასტრახანი).

გოგონათა დაფაზე 18 მოჭადრაკე თამაშობდა. 6,5 ქულით გაიმარჯვა მაია მაჩიტიძემ (ვანი).

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალისტმა, გურჯაანის გუნდმა — 28 შესაძლებლიდან 22 ქულა. მეორე იყო ვანის საჭადრაკო სკოლის გუნდი — 20,5 ქულა, მესამე — ვანის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის კოლექტივი — 18 ქულა.

ანზორ მაჩიტიძე,
ვანის საჭადრაკო კლუბისა და სკოლის დირექტორი.

პირველი მსოფლიო რეკორდი

მსოფლიო რეკორდი ყველა სპორტსმენისთვის სანუკვარი ოცნებაა. რეკორდის დამყარებას, როგორც წესი, თან ახლავს უამრავი ფორმალური მხარე, მაგრამ იგი იმდენად დიდი სიხარულია, რომ სამუდამოდ ალიბეჭდა არა მარტო რეკორდსმენის, არამედ ყველა დამსწრის მეხსიერებაში.



ისტორია

საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველ მსოფლიო რეკორდსმენად, ოფიციალურად, მძლეოსანი ნინო დუმბაძე და ძალოსანი გრიგორი ნოვაკი ითვლებიან. სარეკორდო შედეგები მათ 1946 წელს აჩვენეს, დუმბაძემ — ევროპის მძლეოსანთა მესამე ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, ნოვაკმა კი — პარიზში, ძალოსანთა 22-ე მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში. მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგები საბჭოთა სპორტსმენებს, ცხადია, მანამდეც ჰქონდათ. სტატისტიკურად არის დადგენილი, რომ 1939 წლის პირველი იანვრისათვის 44 საკავშირო რეკორდი ოფიციალურ მსოფლიო მიღწევას ეღიმატებოდა, მაგრამ იმ პერიოდში საბჭოთა ფიზკულტურული ორგანიზაციები საერთაშორისო ფედერაციების შემადგენლობაში არ შედიოდნენ და ჩვენი სპორტსმენების სარეკორდო შედეგების ოფიციალური რეგისტრაცია არ შეიძლებოდა. 1946 წლისათვის კი ეს ბარიერი უკვე მოხსნილი იყო.

დუმბაძე და ნოვაკი — ორი შესანიშნავი სპორტსმენი, ორი საყოველთაო რეკორდსმენი. მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც მსოფლიო რეკორდის დამყარებაში პრიორიტეტს მაინც ნინო დუმბაძეს ანიჭებს. ეს გახლავთ წმინდა ქრონოლოგიური უპირატესობა: მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატი ოსლოში აგვისტოს თვეში ჩატარდა, ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი კი — ოქტომბერში.

ევროპის მძლეოსანთა 1946 წლის ჩემპიონატი სხვა მხრივაც არის საგულისხმო. ტურნირის პირველი ოქროს მედალი საბჭოთა სპორტსმენმა ტატიანა სევრიუკოვამ მოიპოვა (ბირთვის ყვარაში). ეს იყო, ამავე დროს, ხაბჭოთა სპორტსმენების (და არა მძლეოსნების) მიერ მოპოვებული პირველი ოქროს მედალი ევროპის ჩემპიონატებში. ოსლოში სევრიუკოვას წარმატება გაიმეორეს ნინო დუმბაძემ (ბადროს ტყორცნა), კლავდია მაიუჩაკმა (შუბის ტყორცნა), ნიკოლოზ კარაკულოვმა (200 მეტრზე რბენა) და ევგენია სეჩენოვამ (100 და 200 მეტრზე რბენა) და შინ 6 ოქროს მედალი ჩამოიტანეს. ამას გარდა, საბჭოთა მძლეოსნებმა 7 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. სხვათა შორის, ამ ჩემპიონატის პრიზიორთა შორის იყო მეორე შესანიშნავი ქართველი მძლეოსანი ელენე გოკიელიც, რომელიც 80 მეტრზე თარჯობენში ულ ოდნავ ჩამორჩა ლეგენდარულ ოლანდიელ სპრინტერს ფანი ბლანკერს-კოენს (11,8) და მეორე ადგილი დაისაკუთრა (11,9)

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პირველ მსოფლიო რეკორდსმენს ნინო დუმბაძეს. მით უმეტეს, რომ ამ ღირსსახსოვარი თარიღიდან ზუსტად 40 წელი გავიდა. ნინო დუმბაძე თბილისში საცხოვრებლად 1938 წელს ჩამოვიდა. მანამდე ბადროს ტყორცნაში რესპუბლიკის უცვლელ რეკორდსმენად პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენელი ჰერტრუდა მაიერი ითვლებოდა. დუმბაძემ ჩამოსვლისთანავე გააუმჯობესა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის რეკორდი (47 მ, 33 სმ) და მსოფლიო მიღწევის შტურმისათვის სამზადისს შეუდგა.



ნინო დუმბაძე (ფოტო მიხეილ ზარგარიანის არქივიდან).

მძლეოსნობაში მეცადინეობა ნინო დუმბაძემ 16 წლის ასაკში დაიწყო. მრავალმხრივ სპორსტმენს იმ დროისათვის მაღალი შედეგები ჰქონდა სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, რბენაში, მაგრამ ფეხი იტკინა და ამ სახეობებში გამოსვლა სამუდამოდ შეწყვიტა. სამაგიეროდ, გახდა მტყორცნელი და მერე როგორი...

ნინო დუმბაძემ სრულყო ტყორცნის ტექნიკა, ბევრი სიახლე შეიტანა წვრთნის მეთოდიკაში. იგი ბევრს მუშაობდა, ვარჯიშობდა, ერთთავად ახლის ძიებაში იყო. ტყორცნის სექტორში ათენებდა და აღამებდა და, ცხადია, შედეგმაც არ დააყოვნა. 1939 წელს ნინომ ბადრო 49 მეტრსა და 11 სანტიმეტრზე ტყორცნა და მთელი 80 სანტიმეტრით გააუმჯობესა გერმანელი გიზელა მაუერმაიერის მსოფლიო რეკორდი. თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე ნინო დუმბაძეს 34-ჯერ აქვს ნაჩვენები მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი.

ევროპის ზემოხსენებული ჩემპიონატი ქართველმა მძლეოსანმა მოკრძალებული შედეგით (44 მ, 52 სმ) მოიგო. მაგრამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ნორვეგიის პატარა ქალაქ სარპსბორგში ბადრო 50 მეტრზე და 50 სანტიმეტრზე ტყორცნა. სწორედ ეს შედეგი გახდა საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველი ოფიციალური მსოფლიო რეკორდი. ექვსი წლის შემდეგ, 1952 წლის 18 ოქტომბერს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ნინო დუმბაძემ კიდევ ერთი ფანტასტიკური ტყორცნა შეასრულა (57 მ, 04 სმ), მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ბადრაგი მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის

თამაშის განუახლებლად

კასპაროვ-კარპოვის მატჩ-რევანშის მეათე პარტიაში, რომელიც თანაბარ პოზიციაში გადაიდო, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტოქენი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 5,5:4,5 გარი კასპაროვის სასარგებლოდ.

მატჩ-რევანშის იოგვლივ

მერვე პარტიის წინ მსოფლიო ჩემპიონისთვის თავისებური სტიმული იყო სპორტული ჟურნალისტების ჟიურის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 1986 წლის საუკეთესო საშადრაკო წიგნად კასპაროვის ნაშრომი აღიარეს. ამ წიგნში, რომელიც ინგლისის ცნობილმა გამომცემლობამ „პერგამონპრესმა“ გამოაქვეყნა, კასპაროვი მოგვითხრობს თავის წინა ორ მატჩზე კარპოვთან, არჩევს ამ მატჩებში ნათამაშებ 72 პარტიას.

ადგილობრივი პრესა მატჩ-რევანშს კვლავინდებურად დიდ ყურადღებას უთმობს. დიდოსტატი რაიმონდ კინი ლონდონის „ტაიმსში“ წერს, რომ ზოგჯერ კასპაროვი ისე თამაშობს, „როგორც კარპოვი, თავის საუკეთესო წლებში“, მაგრამ ზოგჯერ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ დინამიკურ-კომბინაციურ სტილს ამჯობინებს, რისთვისაც გაზეთმა „სანდი ექსპრესმა“ ჩემპიონს „საერთოშორისო ჰადრაკის მარადონა“ უწოდა. დიახ, კასპაროვის მიღწევები ამ მატჩში უდავოა. და მაინც, ჟურნალისტები არ ივიწყებენ მის წარმოუდგენელ შეცდომას მეორე პარტიაში, როცა აშკარა მოგება გაუშვა ხელიდან. ეს პარტია მსოფლიო ჩემპიონს ალბათ არასოდეს დაავიწყდება.

— ვესაუბრე კასპაროვის მწვრთნელს იოსებ დორფმანს, — წერს კინი „ტაიმსში“. — იგი მეშვიდე რიგში ზის და, როცა კასპაროვი შეცდა, სიმწრისგან აღარ იცოდა, რა ექნა. რას იზამთ, ამ მატჩში ყველაფერი ხდება.

კინი ესაუბრა კასპაროვის სეკუნდანტებს, რომლებმაც მას გააცნეს მსოფლიო ჩემპიონის შეხედულება ჰადრაკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ფიდე-ს მომავალ კონგრესზე კასპაროვი კატეგორიულად მოითხოვს მსოფლიო პირველობის გათამაშების ამჟამად მოქმედი ორწლიანი ციკლის შეცვლას ისევ სამწლიანი ციკლით. ეს მსოფლიო ჩემპიონს საშუალებას მისცემს მეტ საერთაშორისო ტურნირში მიიღოს მონაწილეობა, საერთოდ, მეტი გააკეთოს ჰადრაკისათვის. სხვათა შორის, ამავე აზრისანი არიან კარპოვი და მაია ჩიბურდანიძე.

ზოგი მომხმხილველი ამ მატჩს კაპაბლანკა-ალიოხინის ისტორიულ შეხვედრას ადარებს (ბუენოს-აირესი, 1927 წელი). „კარპოვი კაპაბლანკასავით თამაშობს, კასპაროვი კი — ალიოხინივით“. პრეს-ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ინგლისელი ჟურნალისტი ერიკ შილერი, რომელიც ამავე მეტოქეების წინა ორ მატჩსაც ესწრებოდა, ამჟამად შექმნილ სიტუაციას მსოფლიო ჩემპიონისთვის ხელსაყრელად მიიჩნევს, „თუ ასე გაგრძელდა, კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონობას შეინარჩუნებს“. ამავე დროს, შილერი მიიჩნევს, რომ ლენინგრადში კარპოვისთვის უფრო ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნება. ლენინგრადელი გულშემატკივრები თავიანთი ყოფილი თანაქალაქელის მხარეზე იქნებიან.

ჩემპიონი და ექსჩემპიონი ისე საინტერესოდ, არასტანდარტულად თამაშობენ, რომ ზოგჯერ უძლიერეს დიდოსტატებსაც კი უჭირთ მათი სვლების გამოცნობა. „დღეს თითქმის ვერაფერი გამოვიცანი“, — განაცხადა შეოთხე პარტიის შემდეგ ენტონი მაილსმა, რომელსაც კარპოვთან ბევრჯერ უთამაშია, ამ ბოლო თვეებში კი კასპაროვსაც შეხვდა მატჩში — 5,5:0,5. ეს შედეგი ძალიან უახლოვდება რობერტ ფიშერის ორ სარეკორდო მიღწევას. ამასთან, მაილსმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ასეთი ანგარიში კასპაროვთან შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონი „აბსოლუტურად ყველაფერს ხედავდა“, „მას შეუძლებელია რაიმე გამოაპარო“. მაილსი ამბობს: „მე ვიცოდი, რომ ვხვდები დიდოსტატს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონია, მაგრამ არ მეგონა, რომ დამიპირისპირდებოდა — ოცდაშვიდთვალა „ურჩხული“, რომელიც დაფაზე ჩემზე ათჯერ მეტს ხედავს. თუ რაიმეს მეც შევამჩნევდი და კასპაროვიც, ერთი მაინც ცხადი იყო, ამ შესაძლებლობას მსოფლიო ჩემპიონი ათჯერ უფრო სწრაფად ხედავდა“.

საერთაშორისო ოსტატი ლეონარდ ბარდენი „გარდიან უიკლის“ ფურცლებზე შენიშნავს, რომ ორივე მეტოქე ფიზიკურად შესანიშნავად არის მომზადებული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მატჩის ყველა პარტია უმაღლეს დონეზე ჩაივლის.

ზოგჯერ პრეს-ცენტრში საუბარი ჩამოვარდება მსოფლიოს ექსჩემპიონ რობერტ ფიშერზე, მაგრამ მის შესახებ ძალზე ცოტა რამ იციან. აღნიშნავენ, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ იგი მექსიკაში იყო, მაგრამ მხოლოდ ელვისებურ პარტიებს თამაშობდა. ფიშერს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციისა და მისი ხელმძღვანელობის შესახებ სიტყვის გაგონებაც არ უნდა.

— ჩვენ, შესაძლოა, ცოტა მოძველებული ცნობა გვაქვს, — განაცხადეს პრეს-ცენტრში, — ერთმა ჟურნალისტმა ფიშერს მიაგნო ლოს-ანჯელესსა და პასადენაში, მაგრამ მსოფლიოს ექსჩემპიონი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მასთან საუბრისგან თავი შეიკავა.

როცა ფიდე-ს პრეზიდენტ კამპომანესს შეახსენეს, თქვენ არჩევის წინ აკი დაპირდით გულშემატკივრებს, რომ ჰადრაკის სამყაროს ფიშერს დაუბრუნებდითო, მან მხოლოდ ხელები გაასავსავა.

II ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ ს.	19	13	1	5	37-19	27
„ქიაფაზი“	19	12	3	4	35-19	27
„დილა“	19	11	3	5	32-21	25
„ლოკ.“ ს.	19	10	3	6	28-19	23
„მეტალურ.“	19	9	2	8	34-27	20
„მეშახტე“	19	9	2	8	27-25	20
„კოლხეთი“	19	9	2	8	31-35	20
„ლოკ.“ თბ.	19	9	2	8	19-23	20
„გიანკლ.“	19	8	4	7	28-16	20
„სპარტაკი“	19	8	4	7	20-23	20
„ყარაბახი“	19	8	2	9	32-31	18
„ავტომობ.“	19	7	2	10	33-30	16
„არაზი“	19	6	4	9	16-28	16
„შირაკი“	19	6	1	12	14-25	13
„კოლხოზჩი“	19	5	2	12	16-33	12
„ოლიმპია“	19	2	3	14	15-43	7

გავლილ პარასკევს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა სავარჯიშო გათამაშების მორიგი, IX ტურის მატჩები.

სოხუმის დინამოელებმა სტუმრად წარმატებას მიაღწიეს აშტის „ოლიმპიასთან“ — 5:3, ხოლო სამტრედიის „ლოკომოტივმა“ ასევე დაამთავრა მატჩი აშხაბადის „კოლხოზჩისთან“ — 2:2. დანარჩენმა ჩვენმა გუნდებმა წარუმატებლად ითამაშეს: „სპარტაკი“ (ოქ[illegible]ბერიანი) — „კოლხეთი“ (ფო[illegible]) 3:1, „ქიაფაზი“ (ქიროვაბა[illegible]) — „მეტალურგი“ (რუსთავი) [illegible], „გიანკლიკი“ (ბაქო) — „მეშახტე“ (ტყიბული) 4:0, „არაზი“ (შირვანი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „დილა“ (გორი) [illegible], „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:0.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXIV ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.

აღმოსავლეთი ჯგუფი

„ივერია“ (ხაშური) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:1, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 3:1, „კახეთი“ (თელავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0.

დასავლეთი ჯგუფი

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:1, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „დინამო“ (გაგრა) 3:3, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ბათმური“ (ჩოხატაური) 4:0, „სულორი“ (ვანი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:1, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 3:2, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:0.

„ნაპოლის“ გულშემატკივართა აზრით...

„ნაპოლის“ გულშემატკივრებს დაურიგდათ ანკეტა: მათ უნდა დაესახელებინათ კლუბის საუკეთესო ფეხბურთელი. ყველა მოელოდა, რომ პირველობას მარადონას მიაკუთვნებდნენ, მაგრამ გულშემატკივრებმა სხვაგვარად განსაჯეს: № 1 ფეხბურთელად მათ სალვატორე ბანი დაასახელეს. ბანიმ, იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა, ამ არჩევანთან დაკავშირებით თქვა, რა თქმა უნდა, მარადონა გაცილებით უკეთ თამაშობს, მაგრამ „ნაპოლის“ ქომაგებმა უცხოელს მაინც იტალიელი ამჯობინესო.

№ 1 — რუუდ გულიტი

ჰოლანდიის 1986 წლის № 1 ფეხბურთელად აღიარებულია ეროვნული ნაკრებისა და ქვეყნის ჩემპიონ „ეინდჰოვენის“ მოთამაშე რუუდ გულიტი.

„ლივერპული“ — „სელტიკი“

შემოდგომაზე (ზუსტი თარიღი მოგვიანებით დადგინდება) გაიმართება მატჩი დიდი ბრიტანეთის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისის ჩემპიონი „ლივერპული“ და შოტლანდიის ჩემპიონი „სელტიკი“ (გლაზგო).

ამგვარი მატჩი ამიერიდან ყოველწლიურად ჩატარდება.

უცხოელები გუნდესიგაში

ამჟამად ბუნდესლიგის გუნდებში 34 უცხოელი თამაშობს 18 ქვეყნიდან. მათ შორის ყველაზე მეტი (8) პოლონელია. ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრების მომავალ მეტოქეებს, ნორვეგიელებს და ისლანდიელებს ბუნდესლიგაში ორ-ორი ფეხბურთელი ჰყავთ.

წყნეთის „ლუჟნიკი“

(დასასრული)

ჩუაშვილმა გაბარებულმა მითხრა, რომ სპორტული კომპლექსი წყნეთელ ბავშვებს, მოზარდებს საშუალებას მისცემს ივარჯიშონ, გამოიწრთონ, ჯანმრთელობა გაიკაჟონ. მშენებლებმა შენთვის, შენი ტოლებისათვის, შენი და-ძმისა და მათი თანატოლებისთვის მოასწრეს დგილი მომავალი სპორტული სარბიელის მოსაწყობად (აქ კი მანამდე ფერდობი იყო, სადაც სიმაღლეთა სხვაობა 25 გრადუსს შეადგენდა), აღმართეს ვებერთელა ბეტონის კედელი, დაყარეს 1500 კუბმეტრზე მეტი მიწა, კომბინირებული სპორტული მოედანი შემოსეს სინთეზური საფარით („რეზდორით“). ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი საშხაპეები და გასახდელები — წყალს მზის ბატარეებით გააცხელებენ. მინდა გაგაცნო ისინი, ვინც ამდენი შრომა გასწია შენთვის და წყნეთის სხვა პატარა მცხოვრებლებისთვის. ესენი არიან თბილისის საქალაქო საბჭოს კეთილმოწყობის, სამშენებლო მეურნეობის, განათების, საგზაო მეურნეობის სამმართველოები, „თბილწყალკანალის“ საწარმოო სამმართველო, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ „სპეცჰელეოთბომონტაჟი“, სამშენებლო მასალების წარმოების სამინისტრო, სპორტკომბინატი „დინამო“ და „საქსპორტმშენი“. ეს შესანიშნავი სპორტული კერა საერთო მცდელობით სულ რაღაც ერთ თვეში აიგო. ადამიანები, რომლებმაც ასეთ მოკლე დროში სასწაული მოახდინეს, ცხადია, ქებას და მადლობას იმსახურებენ. შესანიშნავ თაოსნობას უთუოდ გამოუჩნდებიან მიმდევრები.

შენ ჯერ კიდევ არ გერქვა სახელი, როცა წყნეთის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დავით ზარიძემ ახალი კომპლექსის სიმბოლური გასაღები გადასცა წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდობას და იქვე დასძინა, რომ წყნეთში გაზრდილი სპორტის ოსტატების კობა შახულოვის, თენგიზ და ზურაბ წენგუაშვილების, გივი სულაძის, ოთარ ხეჩუაშვილის, ვალერიან აფციაურისა და სხვათა ტრადიციებს ახალ ბაზებზე აღზრდილი და გამოწრთობილი ჭაბუკები და ქალიშვილები გააგრძელებენ.

...ეს ნამდვილი ზეიმი იყო, იმდენად ლამაზი და გრანდიოზული, რომ იგი ალბათ ყველა იქ მყოფს მთელი ცხოვრება ემახსოვრება. შენ, რა თქმა უნდა, მომავალში ბევრჯერ გიამბობენ ამ დღეზე, გეტყვიან რამდენი ხალხი შეიკრიბა, როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ქართულ ჭიდაობაში თბილისიდან, კასპიდან, მცხეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები, შასპინძლების წარმომადგენლები; იმასაც გიამბობენ, რა საინტერესოდ ჩატარდა კალათბურთელთა შეჯიბრება, როგორ „შეამოწმეს“ ფეხბურთის მინდორი თბილისის „დინამოს“ ვეტერანებმა და წყნეთელი ახალგაზრდების გუნდმა.

მე არ შევმცდარვარ, როცა გითხარი, კომპლექსის გახსნის ზეიმი გრანდიოზული იყო-მეთქი. ახალი სპორტული კომპლექსის გახსნა არ შეიძლება დიდი დღესასწაული არ იყოს. ამასვე ფიქრობს მამაშენიც — ვაჟა ხეჩუაშვილი. აბა რით შეიძლება აიხსნას, რომ სწორედ იმ კაცის სახელი დაგარქვა, ვინც პირველი ბურთი გაიტანა ახალ საფეხბურთო მინდორზე. აი, როგორ დაგერქვა სახელი. აი, როგორ იშვა ახალი სპორტული კომპლექსი — შენი თანატოლი. გავა დრო და იმ სარბიელზე, სადაც შენი დაბადების დღეს დიდი ზეიმი გაიმართა, შენც გაიტან გოლს.

ვინ იცის, იქნებ...

პეპი გოგორიშვილი.

ინფორმაცია

აქნდა. ამ ქალაქში — გაიმართა რუსეთის ფედერაციის ჩემპიონატი სპორტულ სარბენში. 13 კმ-ზე ტრიალ-ციტადაზე ქალებმა ახალი რეკორდი დაამყარა ნოვოსიბირსკელმა ოლღა კრიშტოპამ. მან ეს მანძილი 44 წუთსა და 43 წამში დაფარა. კრიშტოპამ თავისივე რეკორდი 9 წამით გააუმჯობესა. საინტერესოა, რომ ადრინდელი მიღწევაც ორი წლის წინათ პენზაშია ნაჩვენები.

რეგბი

ხარკოვში ჩატარდა რეგბისტთა საკავშირო თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპის შეხვედრები. ნახევარფინალურ მატჩებში მოსკოვის „ლოკომოტივმა“ დაამარცხა კიევის „ავიატორი“ — 9:6, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა სძლია მოსკოვის ფილის — 18:6. გამარჯვებული გუნდების ფინალური შეხვედრა სამხედრო-საჰაერო აკადემიის წარმომადგენელთა გამარჯვებით დასრულდა — 9:6.

„სპორტლოტო“

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 34-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 21 (ცურვა), 25 (საციგაო სპორტი), 28 (ტყვიის სროლა), 29 (სასტენდო სროლა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 8 (ტრაკზე ველორბოლა),18 (მძლეოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 28 (ტყვიის სროლა).

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 26 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვი — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 20.00 (1); რიტმული ტანვარჯიში — 20.00 (2); ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადმოცემა შტუტგარტიდან) — 0.15 (1).

საქართველოს ტელევიზია. 26 აგვისტო. მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვი — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 20.00.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

უკეთეს შედეგებს მოველოდით

მადრიდი. ესპანეთის დედაქალაქში თერთმეტ დღეს გრძელდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი საწყულოსნო სპორტის სახეობებში. საბჭოთა სპორტსმენები ამჯერად სუსტად გამოვიდნენ. ცურვაში, მაგალითად, მათ მხოლოდ ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და შვიდი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. არადა, ჩვენი სპეციალისტები მადრიდიდან უკეთესი „ნადავლის“ წამოღებას ვარაუდობდნენ.

განსაკუთრებით მოულოდნელი იყო საბჭოთა გუნდის ლიდერის, 26 წლის ვლადიმერ სალნიკოვის გამოსვლა თავისუფალი სტილით 1500 მეტრზე ცურვაში. მსოფლიო რეკორდსმენმა ამჯერად IV ადგილი დაიკავა. ჩემპიონი ამ სახეობაში გფრ-ის წარმომადგენელი 19 წლის რაინერ ჰენკელი გახდა — 15.05,31.

ამერიკელი წყალში მხტომელი გრეგ ლუგანისი ამ ტურნირამდე სამჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი. მადრიდში მან თავისი მაღალი ოსტატობა ერთხელ კიდევ დაამტკიცა და ხტომის ორთავე სახეობაში (კოშკი, ტრამპლინი) ოქროს მედლები მოიპოვა. შეჯიბრების ბოლო დღეს 16 წლის მოსკოველმა მარინა ბაბკოვამ ტრამპლინიდან ხტომაში ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა. სამწუხაროდ, ეს იყო ჩვენი მხტომელების მიერ ამ ჩემპიონატში მოპოვებული ერთადერთი მედალი.

ჭაბუკთა ტურნირებზე

ამ დღეებში დამთავრდა ნორჩ ფრენბურთელთა და კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატები.

სოფია. ფრენბურთელ გოგონათა შეჯიბრებაში ჩემპიონი ტურნირის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე გამოვლინდა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა დაამარცხეს ჩემპიონატის მასპინძლები — 3:1 და პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

პაზარჯიკი. ბულგარეთის ამ ქალაქში ფრენბურთელი ჭაბუკები ასპარეზობდნენ. აქ გამარჯვება ბულგარელებმა მოიპოვეს. მეორე-მესამე ადგილებზე გასვლის უკეთესი შანსი საბჭოთა კავშირისა და გფრ-ის სპორტსმენებს აქვთ.

ვენა. გაიმართა იუნიორ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი. საბჭოთა სპორტსმენები დამარცხებულნი იუგოსლავიელებთან (87:111) და მეორე ადგილზე გავიდნენ. ბრინჯაოს მედლები იტალიის იუნიორებმა მოიპოვეს.

თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო

ვოლგაზე

კომფორტაბელური თბომავლით „სემიონ ბუდიონი“ (ყოველ კაიუტაშია შხაპი, კონდიციონერი),

28 აგვისტოდან 20 სექტემბერამდე მარშრუტით: გორკი—ასტრახანი — მოსკოვი — გორკი.

საგზურის ღირებულება ორადგილიან კაიუტაში — 543 მან.

ვოლგა-დონზე

კომფორტაბელური თბომავლით „ტიხი დონი“ (ყველა კაიუტას აქვს შხაპი, კონდიციონერი).

28 სექტემბრიდან 19 ოქტომბრამდე მარშრუტით: როსტოვი — მოსკოვი — როსტოვი.

საგზურის ღირებულება ორადგილიან კაიუტაში — 478 მან, სამადგილიან კაიუტაში — 394 მან.

საგზურის ღირებულებაში შედის: მგზავრობა თბომავლით, სამჯერადი კვება თბომავლის რესტორანში, საექსკურსიო მომსახურება ქალაქებში, მგზავრობა საწყისი პუნქტიდან ბოლო პუნქტამდე და უკან.

ტურისტულ მატარებელზე „საქართველო“

13-დან 29 სექტემბრამდე მარშრუტით: თბილისი — ხარკოვი — სმოლენსკი — მინსკი — ბრესტი — ვილნიუსი — კალინინგრადი — ფსკოვი — რიგა — ტალინი — ლენინგრადი — როსტოვი — თბილისი.

საგზურის ღირებულება — 220 მან.

30 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე მარშრუტით: თბილისი — ვოლგოგრადი — ულიანოვსკი — გორკი — იაროსლავლი — ნოვგოროდი — ლენინგრადი — როსტოვი — თბილისი. საგზურის ღირებულება — 162 მან.

14-დან 25 ოქტომბრამდე მარშრუტით: თბილისი — კრასნოდარი — ვოლგოგრადი — ულიანოვსკი — გორკი — კოსტრომა — იაროსლავლი — კალუგა — ხარკოვი — თბილისი. საგზურის ღირებულება 154 მან.

30 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე მარშრუტით: თბილისი — ვოლგოგრადი — ხარკოვი — მინსკი — ბრესტი — ვილნიუსი — კალინინგრადი — რიგა — ტალინი — ლენინგრადი — ნოვგოროდი — როსტოვი — თბილისი. საგზურის ღირებულება 204 მან.

საგზურის ღირებულებაში შედის: მგზავრობა კუპირებული ვაგონებით, სამჯერადი კვება ვაგონ-რესტორანში, საექსკურსიო მომსახურება ქალაქებში მარშრუტის მიხედვით.

მიიღება როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური დაკვეთები.

საგზურები იყიდება როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე.

გთავაზობთ საგზურებს:

ყოველდღიურად ინდივიდუალური ტურისტებისათვის ეწყობა მიმოსვლითი ექსკურსიები:

„თბილისი — საქართველოს დედაქალაქი“ და ექსკურსია „საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონზე“.

რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის მოედნიდან 12 საათზე და ქალაქ თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროდან (მისამართი: მეტეხის აღმართი 4) 15 საათზე.

„ძველი ტრამვაით ახალ თბილისში“ — ყოველ დღე გარდა ორშაბათისა 11 საათზე კოლმეურნეობის მოედნიდან.

საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში 15 საათზე და „საღამოს თბილისის ჩირაღდნები“ — 20 საათზე ტურისტული სასტუმროდან „ვაკე“ (ჩავჩავაძის პროსპექტი № 80).

დაწვრილებითი ცნობებისათვის მარშრუტების შესახებ მიმართეთ ქ. თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს საგზურების რეალიზაციის განყოფილებას.

გისურვებთ ბედნიერ მოგზაურობას!.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, მეტეხის აღმართი 4. ტელ: 74-40-67.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612